ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 15

ქ. თბილისი

03.12.2019

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ მასწავლებელი, საბჭოს თავმჯდომარე
2. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი,
4. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი; საბჭოს მდივანი
5. **დავით ჭეიშვილი** - სსიპ - ვაჟა ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N 87 საჯარო სკოლის დირექტორი
6. **გელა მაჭარაშვილი** - სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N 2 საჯარო სკოლის დირექტორი
7. **თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ თბილისის N 64 საჯარო სკოლის დირექტორი.
8. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე
9. **ნინო ჯანჯღავა** - ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის დირექტორი
10. **ავთანდილ აბდუშელიშვილი** - შპს "დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას" დირექტორი

11. **კახაბერ ფარცვანია** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

2. **სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

ნინო ფეტვიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

ლევან გოგიჩაიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ ბაღდათის წმ. კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზია

დირექტორი - მარკოზ ბულუხია

შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერია

დირექტორი - მადლენა მახარაძე

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა

დირექტორი - ბარბარე მეგრელაძე

დირექტორის თანაშემწე - გოგიტა მშვენიერაძე

შპს ქართულ - ამერიკული სკოლა პროგრესი

გენ. დირექტორი - ნინო ჩიკვაშვილი

შპს თამარიონი +

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

ა(ა)იპ ბაღდათის წმ. კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზია

შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერია

ლია გრიგოლია

თეა სალუქვაძე

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა

ლევან ღურწკაია

ეკატერინე ვეკუა

შპს ქართულ - ამერიკული სკოლა პროგრესი

სერგო დურგლიშვილი

ელენე კალანდაძე

შპს თამარიონი +

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია.

სხდომა გაიხსნა 16:00 საათზე, საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

რადგან სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი თამილა ჩუბინიძე, საბჭოს თავმჯდომარემ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22 - ე მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად საბჭოს მდივნის ფუნქციების შესრულება დაავალა საბჭოს წევრ მაკა მამფორიას.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ ბაღდათის წმ. კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

2. შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერიას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

4. შპს ქართულ - ამერიკულ სკოლა პროგრესში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

5. შპს თამარიონი + - ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, რომ დღის წესრიგთან დაკავშირებით შპს თამარიონი + -ს ჰქონდა დაყენებული შუამდგომლობა. კერძოდ, ცენტრში შემოსული იყო თამარიონი + - ის წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ გარკვეული მიზეზების გამო დაწესებულება საბჭოს წევრებს სთხოვდა საკითხის გადადებას. საბჭოს წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულ შუამდგომლობას. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, ხომ არ იყო კიდევ რაიმე შუამდგომლობა დაყენებული.

ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ითხოვა სიტყვა, რათა საბჭოსთვის წარმოედგინა ა(ა)იპ ბაღდათის წმ. კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის ხელმძღვანელის შუამდგომლობა. თუმცა, მანამდე მან საბჭოს წევრებს გააცნო დაწესებულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. მან განმარტა, რომ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით მონიტორინგის განხორციელება გათვალისწინებული იყო მონიტორინგის წლიური გეგმით. მონიტორინგის ვიზიტი დაიგეგმა 25 და 26 ნოემბერს. ვიზიტის შესახებ ინფორმირების მიზნით ცენტრმა სცადა დაკავშირება სკოლასთან და შემდეგ დაუკავშირდა საპატრიარქოს განათლების ცენტრის ხელმძღვანელს, რომელმაც აცნობა, რომ აღნიშნული დაწესებულება არ

ფუნქციონირებდა ფინანსების უქონლობის გამო და იგეგმებოდა მისი დახურვა. სკოლის მოსწავლეთა ნულოვანი კონტინგენტი დადასტურდა განათლების მართვის საინფორმაციო ბაზის მონაცემების გადამოწმებითაც. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ცენტრმა მიიღო გადაწყვეტილება ვიზიტის შესახებ ბრძანების გაუქმების თაობაზე.
მოგვიანებით ცენტრში შემოვიდა წერილი (ცენტრში რეგისტრაციის ნომერი 1611562), რომლითაც დაწესებულებამ ცენტრს შეატყობინა, რომ ა(ა)იპ ქ. ბაღდათის წმ. კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის მართლმადიდებლურმა სკოლა - გიმნაზიამ 2016 წლის 5 აპრილს გაიარა ავტორიზაცია. სამწუხაროდ ფინანსების უქონლობის გამო ვერ შეძლო გიმნაზიამ ამოქმედება და ამ პერიოდისთვის სკოლა - გიმნაზია არ ფუნქციონირებდა.

საბჭოს მიმართა დაწესებულების წარმომადგენელმა, რომელმაც განაცხადა, რომ ცენტრთან საუბრის შემდეგ ვითარება შეიცვალა და ამ ეტაპზე სკოლის დახურვას არ აპირებდნენ, რადგანაც მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას შეპირდნენ დაფინანსებას, რაც სასწავლო პროცესის განხორციელების შესაძლებლობას უზრუნველყოფდა. რაც შეეხება მატერიალურ რესურსს, სკოლის წარმომადგენლის თქმით, ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ არაფერი შეცლილა. სკოლის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს და ითხოვა დღის წესრიგიდან ა(ა)იპ ქ. ბაღდათის წმ. კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის მართლმადიდებლურმა სკოლა - გიმნაზიის საკითხის ამოღება.

საბჭომ გაითვალისწინა წარმოდგენილი შუამდგომლობები და დაამტკიცა შეცვლილი დღის წესრიგი:

1. შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერიას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

3. შპს ქართულ - ამერიკულ სკოლა პროგრესში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

16: 30 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი (მდივანი) თამილა ჩუბინიძე.

1. შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერიას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1.1. ექსპერტ ლია გრიგოლიას განცხადებით შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიას 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერია -ს სასკოლო სასწავლო გეგმა ორიენტირებული იყო სწავლების შესაბამისი საფეხურისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაზე, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით გათვალისწინებული შედეგების მაქსიმუმის მისაღწევად. სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებული იყო მუდმივი განვითარებისაკენ.

სკოლას შემუშავებული ჰქონდა მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილი იყო სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით, კლასის დამრიგებლები სისტემატურად აწყობდნენ მოსწავლეთა მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს შვილის ქცევისა და სწავლის შესახებ ინფორმირების მიზნით. მშობლები სისტემატურად ესწრებოდნენ გაკვეთილებს, ავსებდნენ მათთვის წინასწარ შედგენილ კითხვარებს, რაც ხელს უწყობდა მათ მონაწილეობას სასკოლო ცხოვრებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

1.2. ექსპერტ ლია გრიგოლიას განცხადებით შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია „იბერია“ ფუნქციონირებდა ქ. ბათუმში, თაყაიშვილის ქუჩის N 5-7-9--11-ში მდებარე ათსართულიანი

მშენებარე სახლის პირველ და ე.წ. ანტრესოლის სართულზე. გიმნაზიის საერთო ფართი იყო 499,7 კვ.მ. აღნიშნული ფართიდან 294,15 კვ.მ ეკუთვნოდა გიმნაზიის დირექტორს, ხოლო 195,55 კვ.მ შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია „ იბერიას." ანტრესოლში განთავსებული იყო დირექცია, სასწავლო ოთახები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, სამედიცინო ოთახი, ბუფეტი, სველი წერტილები. პირველ სართულზე არსებულ 77,61 კვ.მ ფართი ეკავა სპორტულ დარბაზს, გასახდელს და სველ წერტილს.

საბჭოს წევრმა დავით ჭეიშვილმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას მიმართა, რომ სკოლის მშენებარე შენობაში არსებობა სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა მოსწავლეების უსაფრთხოებას. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმნენ საბჭოს წევრები.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მშენებლობა დიდი ხნის დასრულებული იყო და საცხოვრებელი კორპუსის მფლობელის განცხადებით ტექნიკური საკითხების გამო ვერ მოხერხდა მისი ექსპლუატაციაში მიღება, თუმცა სკოლის წარმომადგენლის თქმით საცხოვრებელი კორპუსის მფლობელი დაპირდა, რომ ერთ კვირაში პრობლემა მოგვარდებოდა და შენობა იქნებოდა ექსპლუატაციაში მიღებული შესაბამისი სამსახურის მიერ. სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს სთხოვა საკითხის განხილვის გადადება მომავალ საბჭოს სხდომამდე.

საბჭომ იმსჯელა და დააკმაყოფილა სკოლის წარმომადგენლის შუამდგომლობა.

2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2.1. ექსპერტ ლევან ღურწკაიას განცხადებითა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა მდებარეობდა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაკიძეებში (ხიჭაური). საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით აღნიშნულ მისამართზე სკოლას 10 წლიანი თხოვების ხელშეკრულებების საფუძველზე, საქართველოს საპატრიარქოსგან გადაცემული ჰქონდა შენობა-ნაგებობები: N6, N8, N10, N11, N14, N20, N22 და, რომელთა საერთო ფართი 5790,7 კვ.მ იყო

სკოლის ორივე შენობაში იყო 30 ოთახი. ვიზიტის პერიოდში სკოლა სასწავლო პროცესისთვის იყენებდა 12 საკლასო ოთახს. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყო დანარჩენი ოთახებიც გამოყენებულიყო საკლასო ოთახებად. სკოლას ჰქონდა კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამასწავლებლოები, ადმინისტრაციისა და სკოლის პერსონალის სამუშაო ოთახები, კათედრების სამუშაო ოთახები და ბიბლიოთეკა. დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ საკლასო ოთახებსა და ლაბორატორიებში განთავსებული იყო 417 ორადგილიანი მერხი და 801სკამი. ორადგილიანი მერხები განკუთვნილი იყო ერთი მოსწავლისათვის. საკლასო ოთახში ორ ადგილიანი მერხები შეიძლებოდა გამოეყენებინათ ჯგუფური სამუშაოს დროსაც, რის საშუალებასაც იძლეოდა არსებული გარემო. ჯამურად, თხოვების ხელშეკრულებისა და სასაქონლო ზედნადების თანახმად სკოლა ფლობდა 477 ორადგილიან მერხსა და 921 სკამს. მერხებისა და სკამების ის ნაწილი, რომელსაც არ იყენებდნენ, დასაწყობებული იყო.

სკოლას ავტორიზაციის საფუძველზე განსაზღვრული ჰქონდა 600 მოსწავლის ყოლის უფლება. შესაბამისად აუცილებელი იყო ამავე რაოდენობის მერხის ფლობა. რეალურად სკოლას ჰქონდა

477 ორადგილიანი მერხი, რაც იძლეოდა 954 მოსწავლის განთავსების საშუალებას, თუმცა სკოლას თითო ორადგილიანი მერხი გათვლილი ჰქონდა ერთ მოსწავლეზე, ამიტომ 600 მოსწავლის განსათავსებლად საჭირო იყო დამატებით 123 მერხი. ვიზიტის პერიოდში, სკოლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გაფორმდებოდა მემორანდუმი უნივერსიტეტსა და სკოლას შორის მერხების თხოვებასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფდა მოსწავლეებს საჭირო რაოდენობის მერხებით. ამ ინვენტარის გარდა საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო მასწავლებლის მაგიდითა და სკამით, დაფებით, რუკებით, სხვადასხვა სახის პლაკატებით და მოსწავლეთა ნამუშევრებით.

სკოლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ აღნიშნული ხარვეზი მოაგვარეს და საბჭოს სხდომაზე წარმოადგინეს შესაბამისი დოკუმენტაცია.

ექსპერტის თქმით ვიზიტის პერიოდში სკოლას სრულად არ ჰქონდა დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერები. რეკომენდაციის საფუძველზე სასწავლებელმა პირველ სართულზე დაამონტაჟა სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისი 2, მეორე სართულზე 2 და 4 გარე უსაფრთხოების კამერა, რომლებიც უზრუნველყოფდა სკოლის როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრის კონტროლს. ვიზიტის დროს სკოლამ კამერების დამონტაჟების და შესყიდვის დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა, თუმცა ვიზიტის შემდეგ ცენტრში გამოაგზავნა აღნიშნული დოკუმენტაცია.

საბჭოს წევრმა დავით ჭეიშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რატომ არ ჰქონდათ დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერები სრულად, რადგან ავტორიზაციის მიღების პერიოდში, 2016 წელს აუცილებლად ექნებოდათ სტანდარტის შესაბამისი კამერები, სხვა შემთხვევაში ვერ მიიღებდნენ ავტორიზაციას.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, რადგან სკოლა მდებარეობდა მაღალმთიან რეგიონში, ავდარმა დააზიანა ზოგიერთი სამეთვალყურეო კამერა, თუმცა დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორა ხარვეზი და ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად დააყენა სამეთვალყურეო კამერები.

ექსპერტ ლევან ღურწკაიას თქმით სასწავლებელს ჰქონდა ვებ-გვერდი http://www.khandzteli.ge, რომელიც 2016 წლიდან არ იყო განახლებული. ის ვერ ასრულებდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. მისი თქმით ვიზიტის პერიოდშივე გამოსწორდა აღნიშნული ხარვეზი.

ექსპერტის განცხადებით სასწავლებელში არსებობდა საგანგებო სიტუაციების დროს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის 28/ნ ბრძანების

საფუძველზე შემუშავებული წესები ხანძარსაწინააღმდეგო, სამედიცინო და უსაფრთხოების პრინციპების გათვალისწინებით, რომლითაც განსაზღვრული იყო სასწავლებლის მიერ შესაბამის სიტუაციაში გასატარებელი ღონისძიებები. ორივე სასწავლო შენობაში, ორივე სართულზე გამოკრული იყო საევაკუაციო გეგმები. შენობათა შესასვლელში მოწყობილი იყო სახანძრო სტენდები და განთავსებული იყო ცეცხლმაქრები, რომლებიც არ იყო დამუხტული.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ გამოასწორეს ხარვეზი ცეცხლმაქრებთან დაკავშირებით და საბჭოს სხდომაზე წარმოადგინეს შესაბამისი დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხიჯაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 11

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხიჯაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის (ს/კ:447860119) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. შპს ქართულ - ამერიკულ სკოლა პროგრესში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

3.1. ექსპერტ სერგო დურგლიშვილის განცხადებით, სკოლა ფუნქციონირებდა შემდეგ მისამართებზე: ქალაქი ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N20, დაზუსტებული ფართობი: 2121.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალში: შენობა N1 საერთო ფართი: 3300.04 კვ.მ.; შენობა N2 საერთო ფართი: 317.57 კვ.მ. და ქ. ბათუმი, აბუსელიძის ქ. N11 - ში. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული იყო 10 წლით 31.12.2026წ. მდე შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა „პროგრესთან" ს/კ 212807550. ვიზიტის დაწყებისას სკოლას დარეგისტრირებული ჰქონდა რეესტრში იჯარით აღებული 930 კვ.მ.. დირექტორის ახსნა განმარტებით „ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრეს"-სა და შპს „ტერმინალი 99" (ს/ნ 245439299) შორის 2017 წლის 22 თებერვალს გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, შემდგომში „ხელშეკრულება", რომლითაც მეიჯარემ მოიჯარეს დროებით სარგებლობაში გადასცა მის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება: 1. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობა საერთო ფართით 930 კვ.მ.. იჯარის ხელშეკრულება დაიდო კანონით გათვალისწინებული ფორმით და 2017 წლის 24 თებერვალს მოხდა მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. მიმდინარე წლის 01 აპრილს შევიდა ცვლილება ხელშეკრულებაში და საიჯარო სრული ფართი განისაზღვრა 1338 კვ.მ.-ით. ცვლილების რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არ განხორციელებულა, თუმცა სკოლასა და მეიჯარის შორის ურთიერთობა ფაქტობრივად მიმდინარეობდა. ოფიციალურად სკოლას ზემოთ აღნიშნული ფართის ფლობა არ უდასტურდებოდა, თუმცა სკოლამ მოაგვარა აღნიშნული ხარვეზი.

ექსპერტის თქმით სკოლას ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით ჰქონდა გარკვეული ხარვეზები, რაც აღნიშნული იყო დასკვნაში. შესწავლილ იქნა სკოლაში უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შედეგად მოსწავლეთა ჩარიცხვა. დირექციის განმარტებით განათლების დოკუმენტის მიხედვით დასკვნის შემუშავების შედეგად განსაზღვრეს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თავსებადი საგნები. იმ საგნებში, რომლებშიც ვერ დაუდგინდა თავსებადობა შედგენილ იქნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. მოსწავლები ჩაირიცხნენ სკოლაში. სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა მხოლოდ ინდივიდუალური გეგმები და ახსნა-განმარტება, სადაც განმარტებული იყო, რომ ,,მოსწავლეებისათვის შემუშავებული იქნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა საგნების მიხედვით, მოსწავლის დონის დაძლევა დგინდებოდა წლის განმავლობაში ზეპირი ჩათვლებითა და შემაჯამებელი დავალებებით. სკოლაში შედგა საგამოცდო კომისია", თუმცა კომისიის გადაწყვეტილება და დონის დაძლევის აღმნიშვნელი დოკუმენტი ვიზიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. განსაზღვრული იყო შემაჯამებელი დავალების აღდგენის პირობები, თუმცა არ იყო შედგენილი ჩატარების გრაფიკი.

2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩაწერილი იყო, რომ სკოლაში ჩატარდებოდა წლიური გამოცდები 2 საგანში, თუმცა საგნების ჩამონათვალი არ იყო. ასევე ,,წლიურ გამოცდაზე კათედრის ხელმძღვანელები ადგენდნენ შემაჯამებელი დავალების მსგავს შინაარსიან, კონტექსტუალიზებულ, კომპლექსურ დავალებებს ან ატარებდნენ ზეპირ გამოცდას. ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესში წლის ბოლოს ტარდებოდა ზეპირი ფორმის ჩათვლა შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტ და ინგლისური ენა, კლასი მე 5-11, რაც არ შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. ასევე, მშობლების მოთხოვნით 1-4 კლასებში ტარდებოდა რეიტინგული წერები, რაც ამ ასაკში არ იყო რეკომენდირებული. ესგ -ის 36-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად : გამოცდა შეიძლება ჩატარებულიყო მხოლოდ საბაზო-საშუალო საფეხურზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი იყო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით სხვადასხვა აქტივობებისათვის. შეფასების რუბრიკები ცნობილი იყო მოსწავლეებისათვის. ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რეკომენდაცია გაეთვალისწინებინათ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და 1-4 კლასებში მოსწავლეები შეეფასებინათ მხოლოდ განმავითარებელი შეფასებით. მოსწავლეების მიზანი უნდა ყოფილიყო საკუთარი მიღწევების გაუმჯობესება, ხოლო რეიტინგული წერის დროს ხდებოდა მოსწავლეების მიღწევების ერთმანეთთან შედარება.

ექსპერტის განცხადებით სკოლის თანამშრომლებთან დადებული იყო ხელშეკრულებები, თუმცა არ იყო შესაბამისობაში საქართველოს ორგანულ კანონთან, შრომის კოდექსთან. ხელშეკრულებებში არ იყო გათვალისწინებული შესვენების დრო; ხელშეკრულების მიხედვით დასაქმებულს არ ეძლეოდა ანაზღაურებადი შვებულება, კანონით დასაქმებულს უფლება ჰქონდა ესარგებლა წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღიანი ანაზღაურებადი შვებულებით. არ იყო გათვალისწინებული ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, ხელშეკრულება მოიცავდა მხარეთა რეკვიზიტებსა და უფლება-მოვალეობების ნაწილს. დოკუმენტში მითითებული იყო დასაქმებულის პოზიცია და ანაზღაურების ოდენობა 1 საათში, თუმცა არ იყო განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა მასწავლებლის შემთხვევაში, არც ხელშეკრულებაში და არც სხვა დოკუმენტში, ასევე სამუშაო დრო განსაზღვრული იყო 5-6 დღიანი, 8 საათიანი კვირით, რითაც დარღვეული იყო შრომის კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა. ხელშეკრულება მოიცავდა მხარეთა უფლება-მოვალეობებს, სამუშაო ადგილს, ხელშეკრულების შეწყვეტის და შეჩერების საფუძვლებს.

თანამშრომლების პირად საქმეებში სკოლა მოითხოვდა შემდეგ საბუთებს: განცხადება თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, განათლების მიღების დამადასტურებელი საბუთი, სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი, პირადობის მოწმობის ასლი. შრომითი ხელშეკრულებები გატარებული იყო აღრიცხვის ჟურნალში, თუმცა ჟურნალი არ იყო დანომრილი და ზონარგაყრილი.

ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რეკომენდაცია მასწავლებლებთან და პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სკოლას გაეთვალისწინებინა საქართველოს ორგანული კანონის, შრომის კოდექსის მოთხოვნები, როგორიც იყო ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ასევე შრომის კოდექსის მე-14 მუხლთან შესაბამისობაში მოეყვანათ სამუშაო დროის ხანგრძლივობა.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს სთხოვა განმარტებები ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა შენიშვნები და რეკომენდაციები დასკვნაში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით და ცენტრში გამოაგზავნა მათი გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ექსპერტმა სერგო დურგლიშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტებმა მიიღეს აღნიშნული დოკუმენტაცია, თუმცა მასალა იყო საკმაოდ ბევრი, რის გაცნობასაც დასჭირდებოდა დრო და დამატებით მუშაობა.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს სკოლისთვის განესაზღვრათ 60 დღიანი ვადა ექსპერტების მიერ ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაციის გასაცნობად და შესაფასებლად. ამის შემდეგ საბჭო სხდომაზე განიხილავდა და მიიღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 19:00 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საბჭოს თავმჯდომარე

დავით მალაზონია

საბჭოს მდივანი

მაკა მამფორია